



საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

საქართველოში მეცხვარეობის ბანკითარების პერსპექტივები (რეკომენდაციები)



გამომცემლობა "აგრო"
თბილისი
2016

ავტორები:

ჯემალ გუგუშვილი - საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი;

ნუგზარ ნატროშვილი - სოფლის-მეურნეობის აკადემიური დოქტორი;

მანანა ცინცაძე - სოფლის-მეურნეობის აკადემიური დოქტორი, პროფესორი.

რეცენზენტი:

გიული გოგოლი - სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რედაქტორი:

ელგუჯა შაფაქიძე - საქართველოს სოფლის-მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი.

საქართველოში მეცხოველეობის განვითარებას ყოველთვის ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკაში. იგი გავრცელებული იყო თითქმის ყველა რეგიონში, ჩაყენებული იყო ხალხის მატერიალური ცხოვრების სამსახურში და მთისა და მთისწინების რაიონების არსებული გლეხური, ნატურალური მეურნეობების ეკონომიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა.

მეცხოველეობას განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება მოსახლეობის ძვირფასი კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის საქმეში. სხვა სახეობებს შორის ამ დარგს წამყვანი ადგილი უკავია თავისი მრავალმხრივი პროდუქტებით, დიდი მოცულობით და მასშტაბური წარმოებით. იგი როგორც ცნობილია იძლევა რძეს და შესაბამისად რძის გადამუშავებით მიღებულ პროდუქტებს (კარაქს, ყველს, ერბოს, არაყანს, ხაჭოს და სხვა), ძვირფასს დიეტურ ხორცს, ტყავს მრეწველობისათვის და სხვა ნედლეულს: რქას, ჩლიქს, ბეწვეულს, მემცენარეობისათვის კი - ორგანულ სასუქს, რომლის ნიადაგში აგროტექნოლოგიური პირობების დაცვით შეტანა უზრუნველყოფს მემცენარეობის ყველა კულტურის მოსავლიანობის ზრდას. არსებულ მეურნეობებში საშემოსავლო გადასახადების მხრივაც წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროს.

საქართველოს მეცხოველეობის დარგებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ისეთ ტრადიციულ დარგს, როგორცაა მეცხვარეობა. ეს დარგი ერთ-ერთ მაღალგანვითარებულ დარგად ითვლებოდა. მას მთლიანად ხორცის და რძის წარმოებაში საკმაოდ მაღალი ხვედრითი წონა ეკავა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო 25 წლის განმავლობაში დარგის განვითარების დონე მნიშვნელოვნად შემცირდა. ასე მაგალითად, ცხვრისა და თხის სულადობა 2013 წელს 1990 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ შემცირდა, ანუ 1990 წელს ცხვრისა და თხის სულადობა საქართველოში იყო 1618,1 ათასი სული, ხოლო 2013 წელს კი 856,8 ათას სულამდე შემცირდა. მაშინ როცა ამ პირობებში შეგვიძლია 2 მილიონამდე გამოსახამთრებელი სულადობის და 5 მილიონამდე საიალადო სულადობის გაზრდა.

საქართველოში დღეისათვის არსებობს შემდეგი აბორიგენული და გამოყვანილი ჯიშები:

თუშური ჯიშის ცხვარი - შექმნილია XIII-XIV საუკუნეებში, რომელიც ჩამოყალიბდა რთული საახალჯიშო ჯვარული მეთოდით.



თუშური ცხვრის ჩამოყალიბების პროცესში, მოშენებისა და სელექციის ხანგრძლივ პერიოდში, მიმართავდნენ უზადო ექსტერიერის, სხეულის კომპაქტური აგებულებისა და მაგარი კონსტიტუციის ცხვრების გადარჩევასა და შერჩევას, ამასთანავე სელექციონერთა ყურადღება გამახვილებული იქნებოდა ასევე მაღალ მესორცული და სამატყლო პროდუქტიულობის მიმართულებით. თუშური ჯიშის სასურველი ტიპის ცხოველები ექსტერიერულად კომპაქტურები არიან საკმაო სიგრძის სხეულით, რომელიც ასევე სიღმეშიაც კარგად აქვთ განვითარებული, კიდურები და ძვალეული საშუალო სიმსხოსი, მაგარი გავა ოდნავ დაქანებული, ჩლიქები მაგარი, თავი საშუალო სიდიდის, სწორი პროფილით. ვერძებს ახასიათებთ კარგად განვითარებული სპირალური რქები, რაც მათი კონსტიტუციის სიმაგრეზე მეტყველებს. მატყლი თეთრი ფერის, თივთიკის და გარდამავალი ბოჭკოების დიდი რაოდენობით შემცველი. უხეში ფრაქცია ცოტაა, ამიტომ ხელით მოსინჯვისას მატყლი რბილია, კარგი ბზინვარების, მაღალი სიმაგრის, დრეკადობის და ელასტიურობის, მუცელი და კიდურები კარგად არის შებუსული მატყლით. ხორცი ხასიათდება მაღალკალორიულობით და საუკეთესო გემოვნებით.

თუშური ჯიშის ცხვრები საშუალო ტანადობისაა. ტიპური ვერძების ცოცხალი მასა 70-75 კგ-ს, ნერბებისა კი 40-45 კგ-ს შეადგენს. მატყლის ნაპარსის სიდიდე შესაბამისად 4,5 და 3-3,5 კგ. ლაქტაციური მერძეულობა-80-90 კგ-მდე.

თუშური ჯიშის ცხვარი მოშენებულია რესპუბლიკის ნებისმიერ ზონასა და რაიონში, განსაკუთრებით რესპუბლიკის მთიან ზონაში. მის მოშენებას მისდევენ ჩრდილოეთ კავკასიაში (დაღესტანი, ჩეჩნეთი, ინგუშეთი და სხვა).

პერსპექტივაში თუშური ჯიშის ცხვრის მოშენების, სრულყოფისა და საჭირო სულადობის მომრავლების შემდეგ მასში გამოყენებული უნდა იქნეს მსვილმასშტაბური სელექცია, მაგრამ გარდა ამ ტიპის მუშაობისა აუცილებელია გაუმჯობესდეს ცხოველთა კვებისა და მოვლა-შენახვის პირობებიც.

იმერული ცხვარი - უძველესი და კოლხურ ჯიშთან გეტენიკურად მონათესავე ცხვარია. მას აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ქართული ცივილიზაციისა და კულტურის ცოცხალ ძეგლად მიიჩნევს. იგი მიღებული უნდა იყოს უძველესი კოლხური ნაზმატყლიანი ცხვრის სხვადასხვა უხეშმატყლიანი ცხვრის ჯიშებთან ისტორიულად, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შეჯვარებით და მოშენებით.



იმერული ჯიშის ცხვრის მოშენებას ძირითადად მისდევდნენ ხარაგაულის, ზესტაფონის, თერჯოლის, საჩხერის, ჭიათურის, ბაღდათის, ვანის, ხონის, წყალტუბოს და ნაწილობრივ ტყიბულისა და ამბროლაურის რაიონებში.

სიდიდით ტანმორჩილი ცხვარებია, ხორცისა და მატყლის მაღალი ღირსებით. ნერბები და ვერძები რქიანებია, გვხვდება ურქო ეგზემპლარებიც. ბოლო მონაცემებით ვერძების ცოცხალი მასა 35-40 კგ-მდე აღწევს, ნერბებისა კი

25-30 კგ-მდე; მატყლის ნაპარსი შესაბამისად 2,0-2,5-1,5-1,7 კგ-ია. ნაყოფიერება 200-250 ბატკანი ყოველ 100 დადოლებულ ნერბზე. მერძეულობა დაბალია.

იმერული ცხვრის თავისებურება შემდეგში მდგომარეობს - აქვს მეტად მაგარი კონსტიტუცია, ძალზე მოძრავია, გამოირჩევა მკვირცხლი ტემპერამენტით. კარგად აქვს განვითარებული დედობრივი ინსტიქტი და ადაპტაციის უნარი. იტანს სტაციონარული და მომთაბარე შენახვას და მწირ კვებასაც. სხვა ჯიშებისაგან ის მკვეთრად განსხვავდება თავისი გენერაციული ფუნქციით, რომელთაგანაც განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს:

1. პოლიესტრულობა - რის მიხედვითაც ის მრავლდება წლის ნებისმიერ დროს; დადოლებიდან 21-ე დღეზე ინერბება;
2. ადრეულობა-იმერული ცხვარი ინერბება. 11 - 12 თვის შიშაქი უკვე დოლდება და ნერბების ჯგუფში გადადის. მაკობის ხანგრძლივობა 138-142 დღეა;
3. მრავალნაყოფიერება-ერთ დადოლებაზე შეიძლება ერთი ნერბიდან მივიღოთ 2 ან 3, იშვიათად 3-4 ბატკანი;
4. მაღალი ცხოველყოფელობა - ახალშობილი დაბადების შემდეგ მალე დგება, მოძრავია და გამძლეა.

განსაკუთრებით გამოირჩევა იმერული ცხვრის ხორცი თავისი მაღალკულისნარული თვისებებით და აშკარად განსხვავდება კავკასიაში მოშენებული სხვა ჯიშის ცხვრების ხორცის სპეციფიური სუნის არაარსებობით..

ქართული ნახევრადნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ჯიშის ცხვარი- ჩამოყალიბებულია საგარეჯოს რაიონის “უდაბნოს” მეცხვარეობის მეურნეობაში 1936-1948 წლებში, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის პროფესორ არჩილ ნატროშვილის ხელმძღვანელობით და ავტორობით. ამ ჯიშის გამოყვანის მიზანი იყო მიეღოთ ნახევრადნაზმატყლიანი მატყლის მომცემი ცხვარი, ცხიმკუდიანთან შერწყმით, ამასთანავე ის კარგად უნდა ყოფილიყო შეგუებული მომთაბარე პირობებს. თუშურ ცხვართან შედარებით მას უნდა ჰქონოდა მაღალი მეხორცული და მატყლის პროდუქტიულობა, ნაყოფიერება და მერძეულობა.



ქართული ცხვარი ჩამოყალიბებულია მარტივი საახალჯიშო ჯვარული მეთოდით. სადედე სულადობა გამოყენებული იყო თუშური ჯიშის I კლასისა და ნაწილობრივ ელიტური ჯგუფის ნერბები, რომლებიც შეუჯვარეს მეხორცულ-სამატყლო მიმართულების პრეკოსის ჯიშის ვერძებს. შეჯვარება წარმართეს F₁ და F₂ თაობების სასურველი ტიპის ცხოველების მიღებამდე - მაგარი კონსტიტუცია, უნაკლო ექსტერიერი ერთგვაროვანი მატყლით, გრძელი ცხიმკუდიანი. აპრობაციის მომენტისათვის ამ ჯიშის ცხვარი ხასიათდებოდა პროდუქტიულობის შემდეგი მაჩვენებლებით: ცოცხლი მასა - ვერძების 80-85 კგ, ნერბების -45-50 კგ, მატყლის ნაპარსის სიდიდე შესაბამისად- 4,5-5,0 კგ და 3,5-4,0 კგ, მერძეულობა -90-110 კგ, ნაყოფიერება-107-110 ბატკანი , მატყლის სიგრძე 9-12 სმ.

ქართული ჯიშის ცხვარი წარსულში გარკვეული პოპულარობით სარგებლობდა და იგი გაჰყავდათ ჩინეთში, მონღოლეთში და სხვა ქვეყნებში ადგილობრივ ცხვრებთან შეჯვარების გზით ცხვრის ახალი ჯიშების გამოყვანის მიზნით. ამ ჯიშის ცხვრები გარეგნულად კარგად გამოიყურებიან შემოდგომით, საზაფხულო იალაღობის შემდეგ, ამავე დროს დამახასიათებელ პროდუქტიულობას ინარჩუნებენ წლის მანძილზე მხოლოდ ნორმალური კვებისა და შენახის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი პარსვის ნორმალურ სეზონამდე სხეულზე მატყლს კარგავენ, ანუ გაღვევრვას განიცდიან, რაც ამ ჯიშისათვის მანკიერებად არის მიჩნეული. ამ ჯიშის ცხვრების სელექციის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მათ მოვლა, შენახვის და კვების

პირობებს, ასევე ცხოველთა მიზანმიმართულ შერჩევა-გადარჩევას და ნაკლოვანებების გამოსწორებას.

ქართული ნაზმატყლიანი ცხიმკუდიანი ცხვრის ჯიში - გამოყვანილი ელდარის მეურნეობაში სპეციალისტთა ჯგუფის მიერ ი. ბაზოშვილის ხელმძღვანელობით 1938-1958 წლებში. თუშური უხეშმატლიანი ჯიშის შეჯვარებით საბჭოთა მერინოსის წმინდამატყლიან ჯიშთან. ჭედილას ცოცხალი მასა 75-80 კგ (100-120 კგ), ნერბების მასა - 55-60 კგ (95 კგ). მატყლი არის თეთრი, ნაზი, მატყლის სიგრძე 8-11 სმ, ჭედილის ნაპარსი - 7-11 კგ, ნერბის - 4-6,5 კგ. სუფთა გამოსავლიანობა არის 47-53%, ნაყოფიერება -110-118%, ჯიში შეგუებული არის მომთაბარე პირობებს, ჯიში არის მეხორცულ-სამატყლე მიმართულების.



ჩვენს მიერ მოყვანილი ოთხივე ჯიში საქართველოში ამჟამად სულადობის მხრივ არის შემცირებული. ისინი არსებობენ, მხოლოდ კერძო მფლობელობაში, ამიტომ მიგვაჩნია ჯიშების შენარჩუნებისათვის მოხდეს ამ ჯიშების ამოღება კერძო მფლობელობიდან და მათი გაერთიანება შექმნილ სანაშენე მეურნეობებში, სადაც მოხდება მათი გენოფონდის შენარჩუნება და შემდგომში მათი სულადობის გაზრდა.

დღეისათვის მეცხვარეობაში არსებული მძიმე მდგომარეობა განაპირობა შემდეგმა პრობლემებმა:

1. არ არსებობს თანამედროვე ტექნოლოგიები (ეს სფერო მთლიანად დაფუძნებულია XVIII-XIX საუკუნეების შრომის პროცესებზე);
2. კერძო სექტორში არ ხდება სანაშენე მუშაობა და სელექცია;
3. არ არსებობს სანაშენე საქმის კვალიფიციური კადრები, შესაბამისად არ ხდება მათი მომზადება;
4. სანაშენე მუშაობის დაბალი დონე განპირობებულია სახელმწიფო საჯიშე – სანაშენე მეურნეობების არ არსებობით;
5. ფერმერები ვერ ახდენენ დროულ და საჭირო ვეტერინარული ღონისძიებების გატარებას, რომელიც აუცილებელია დაავადებებთან ბრძოლისათვის;
6. არ არსებობს თანამედროვე ინფრასტრუქტურა (ხორცი და მატყლის, ტყავის, ძვლის, სისხლისა და ნაწლაგები გადამუშავება);
7. არ არსებობს ფერმერისათვის შეღავათიანი კრედიტები და ლიბერალური გადასახადები, ხელმისაწვდომი სადაზღვეო სისტემა.
8. გადასარეკი ტრასის უქონლობა, რკინიგზის გაბარიტიანი ტრანსპორტის გამოუყენლობა;
9. მატყლის პარსვის მექანიზებული მოწყობილობების უქონლობა.

მეცხვარეობის დარგის ასაღორძინებლად მიზანშეწონილია ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების დადებითად გადაწყვეტასთან ერთად შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1. შეიქმნას საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან მეცხოველეობის მექანიზებული სანაშენე მეურნეობა, რომელშიც შევა მეცხოველეობის ყველა დარგი (მეძროხეობა, მეღორეობა, მეცხვარეობა-მეთხვეობა, მებოცვრეობა);
2. შეიქმნას სანაშენე მუშაობის გეგმა და იგი განხორციელდეს დარგობრივად;

3. დარგობრივად შეიქმნას ცხოველთა ვეტერინარული მომსახურების სამუშაო გეგმა, რომელიც მოემსახურება ფერმერებსაც, რომელთაც დაესახებათ ღონისძიებები, რათა არ გავრცელდეს ქვეყანაში დაავადებები;

4. საზაფხულო საძოვრების უქონლობის შემთხვევაში შეიქმნას საზამთრო საძოვრებზე მექნიზებული მეცხვარეობის მეურნეობა, სასუქი მოედანიც გაორმაგებული მტკიცე საკვები ბაზით;

5. სანაშენე მეურნეობიდან მოხდეს ცხოველთა რეალიზება ფერმერებზე და ეს ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ქვეყნის საზღვრებს გარეთაც;

6. საზამთრო საძოვრებიდან საზაფხულო საძოვრებზე სულადობის გადასაყვანად აღდგეს რკინიგზის და სხვა გადასყვანი ტრანსპორტის გამოყენება;

7. აღდგეს წუნდებული დედა სულადობიდან კარაკუჩის და კარაკულის წარმოება;

8. აღდგეს ცხვრის სულადობის მექანიზებული პარსვა.

სანაშენე მეცხვარეობის შესაქმნელად საჭიროა არსებული ოთხივე ჯიშის ცხვრის სულადობის ბონიტირება, შეირჩეს სულადობა სანაშენე მუშაობის წარმართვისათვის, ფერმერთა სარეალიზაციო სულადობა მეცხვარეთა ასოციაციის მიერ უნდა იქნეს შეძენილი, რისთვისაც უნდა შეიქმნას სასუქი მოედნები, საიდანაც მოხდება თანდათან პირუტყვის დაკვლა-დამუშავება და რეალიზაცია. ამისათვის საჭიროა გამოყენებული იქნეს უმოქმედოდ მყოფი სასაკლაოები, სამაცივრო სისტემები. აქვე უნდა შეიქმნას ნედლეულის (ტყავი, ნაწლაგები, ძვლები და სისხლი) დამუშავების საამქროები. მეცხვარეობის შემდეგი განვითარებისათვის აუცილებელია შეიქმნას სრულფასოვანი მტკიცე საკვები ბაზა.

მ რ